

პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის მოღვაწეობა ქუთაისში

ეკა დადიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

საკვანძო სიტყვები: ქართველოლოგია, ტარიელ ფუტკარაძე, ქუთაისი.

ტარიელ ფუტკარაძე ფართო მასშტაბისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების, გამოკვეთილად ეროვნული ხედვისა და იშვიათი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული, მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე იყო.

ტარიელ ფუტკარაძე საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ უნივერსიტეტში (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, ბათუმი...) მოღვაწეობდა; მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თურქეთის ქართველოლოგიურ ცენტრებთან, ზოგადად, თურქეთელ და ფერეიდნელ ქართველებთან.

ქუთაისის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მის ბიოგრაფიაში. ქუთაისი მისთვის მშობლიურ ქალაქად იქცა. მნიშვნელოვანი და თვალსაჩინოა ტარიელ ფუტკარაძის ღვაწლი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან თავისი ცხოვრების თითქმის ნახევარი სწორედ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ქუთაისს დაუკავშირა.

1992 წლის დეკემბერში, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მომწერი, პუტჩის შემდეგ შევიწროებული და უმუშევრად დარჩენილი მეცნიერი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, პროფესორმა მაგალი თოდუამ ახლად დაფუძნებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელად დანიშნა.

XX საუკუნის 90-იანი წლები ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმესი და ურთულესი პერიოდი იყო როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ქვეყანაში სამეცნიერო-კულტურული ცხოვრების მდინარება მინავლებულ-მისუსტებული იყო. ამ დროს კი ქუთაისის უნივერსიტეტში

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დაარსება უდავოდ დიდი ეროვნული მნიშვნელობის ფაქტი იყო. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუტის ხელმძღვანელად ახალგაზრდა მეცნიერის გამწესება, რაც მაშინდელი რექტორის გონივრული გადაწყვეტილება აღმოჩნდა. ტ. ფუტკარაძის შესანიშნავი უნარებისა და ნიჭის წყალობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისში უაღრესად მნიშვნელოვან, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულების პროექტებს ჩაეყარა საფუძველი.

ტარიელ ფუტკარაძემ ახლად დაარსებული **ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი** ქვეყანაში ერთ-ერთ ძლიერ და წარმატებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრად აქცია. იგი იმთავითვე ჩვეული მონდომებით და ენთუზიაზმით შეუდგა ინსტიტუტის რეორგანიზაციას, შეარჩია ახალი კადრები, თავის გარშემო შემოიკრიბა როგორც გამოცდილი სპეციალისტები, ასევე ახალგაზრდები. ინსტიტუტის ფუნქციად თავიდანვე განისაზღვრა: ქართველური დიალექტური მასალების ჩაწერა-დოკუმენტირება და მეცნიერული შესწავლა; საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი მეტყველების, ეთნოგრაფიული და კულტურული მახასიათებლების აღწერა, კვლევა. პირველივე ეტაპზე ჩამოაყალიბა დიალექტური ტექსტების მომძიებელთა ჯგუფები (სამეგრელოს, სვანეთის, ოკრიბის, ქუთაისის, ხონის, რაჭის, საჩხერის). დანერგა კვლევის ახალი, კომპლექსური მეთოდი, რომელიც გულისხმობდა ველზე მასალის მოპოვებას დიალექტოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკის მიერ, მათს კოორდინირებულ-შეთანხმებულ მუშაობას. ახალბედა ინსტიტუტის ასევე ახალგაზრდა ხელმძღვანელმა შეძლო საერთო საქმის გარშემო თანამშრომლების გაერთიანება, ერთ შეკრულ გუნდად ჩამოყალიბება და ურთულეს პირობებში საშვილიშვილო საქმეების გაკეთება.

ამგვარი კომპლექსური მუშაობის შედეგად შეიქმნა უმდიდრესი ფონოთეკა, რომელიც მოიცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მასალას და უნიკალურია მრავალფეროვანი თემატიკით, ჩაწერა-დამუშავების მეთოდოლოგიითა და ტექნოლოგიით და წარმოადგენს ჩვენი ენობრივ-კულტურული საგანძურის მნიშვნელოვან ნაწილს.

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე 2017 წელს ჩამოყალიბდა **ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**. ტ.ფუტკარაძე სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ქართველური დიალექტოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შემსწავლელ მიმართულებას. 2021 წელს ცენტრს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ტარიელ ფუტკარაძის სახელი მიენიჭა.

ტარიელ ფუტკარაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთი სამეცნიერო წამოწყების შემოქმედი იყო. მისი ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული პროექტია ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული **სიმპოზიუმი – „ქუთაისური საუბრები“** – ქართველოლოგთა ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური სამეცნიერო ფორუმი, რომლის მიზანი იყო თეორიული პრობლემების გარშემო მეცნიერული აზრის მობილიზება,

მსჯელობა აქტუალურ საკითხებზე... გასული საუკუნის 90-იან წლებში ეს იყო ქვეყანაში ერთადერთი ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. ამასთან, სიმპოზიუმს თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქუთაისში მაისობის დღესასწაულის ღონისძიებებს შორის.

პირველი „ქუთაისური საუბრები“ 1994 წლის 13-14 მაისს გაიმართა. 16 სიმპოზიუმში უშუალოდ ტ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა. მეჩვიდმეტე კონფერენცია 2021 წლის 14-15 მაისს ჩატარდა და ის ამ კონფერენციის დამფუძნებელს და სულისჩამდგმელს – ბატონ ტარიელს მიეძღვნა. „ქუთაისური საუბრები“ იმ ურთულეს წლებში უდავოდ იყო მეცნიერებისთვის დღესასწაული, თავისუფალი სივრცე, სადაც შესაძლებელი იყო სხვადასხვა დარგის მეცნიერების, ქართველოლოგების შეკრება და მსჯელობა-კამათი სხვადასხვა სამეცნიერო საკითხზე. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტები როგორც ჩვენი ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიდან, ასევე საზღვარგარეთიდან. სწორედ ამ სიმპოზიუმებზე გააქტიურდა პოლემიკა ქართველური ენობრივი სამყაროს სტრუქტურა-შედგენილობის შესახებ, აქ გააცოცხლა ტ. ფუტკარაძემ (თანამოაზრეებთან ერთად) მანამდე მივიწყებული თვალსაზრისი ქართველთა ერთი ენის შესახებ...

სიმპოზიუმში ტარდებოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, რაშიც ქალაქ ქუთაისის მაშინდელ მერს (1993-1995) და შემდეგ იმერეთის მხარის გუბერნატორს (1995-2003) თემურ შაშიაშვილს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. ის გვერდით დაუდგა კონფერენციის ორგანიზატორს ამ მნიშვნელოვან საქმეში. ტ. ფუტკარაძის თაოსნობით დიალექტოლოგიის ინსტიტუტის წარმატებულმა საქმიანობამ არაერთი „ავადმზირალი“ ადამიანი კეთილად განაწყო...

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველოლოგიისთვისაც და საკუთრივ ქალაქ ქუთაისისთვისაც. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო როგორც სამეცნიერო, ასევე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულების მოვლენა.

პირველი და მეორე „ქუთაისური საუბრები“ სამეცნიერო სემინარის ტიპის შეკრება იყო. მომდევნო, მესამე „ქუთაისური საუბრების“ ფორმატი შეიცვალა და საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა. აქ წარმოდგენილი მოხსენებების აქტუალობამ და თემატურმა მრავალფეროვნებამ არსებითად განაპირობა იმის აუცილებლობა, რომ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები სრული სახით დაბეჭდილიყო. სწორედ ტ. ფუტკარაძის ინიციატივით და ძალისხმევით ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაარსდა სამეცნიერო ორგანო – **ჟურნალი, რომელსაც შთამბეჭდავი სახელწოდება შეურჩია – „ქართველური მემკვიდრეობა“**. ჟურნალი ინსტიტუტს ფართო შესაძლებლობებს აძლევდა. ჟურნალის მიზანი იყო და არის ქართველთა ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, ქართველოლოგიის აქტუალური საკითხების გაშუქება. ჟურნალში ქვეყნდება „ქუთაისური საუბრების“ მასალები, რეცენზირებული ქართველოლოგიური ნაშრომები, ასევე,

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის (ამჟამად ქართველოლოგიის ცენტრის) მიერ ჩაწერილი ახალი დიალექტური ტექსტები...

1997 წელს გამოვიდა ჟურნალის პირველი ნომერი. ტარიელ ფუტკარაძე იყო ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი. დარსებიდან ჟურნალის პერიოდულობა არ დარღვეულა; ის დღემდე შეუფერხებლად და რეგულარულად (წელიწადში ერთი ნომერი) გამოდის, რაც ჟურნალის მყარ საფუძვლებზე და მისი დამფუძნებლის უდიდეს დამსახურებაზე მიუთითებს. შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერისთვის ჟურნალი, როგორც თვითონ აღნიშნავდა, შვილივით ძვირფასი იყო. მის სიცოცხლეში 24 ნომერი გამოიცა. ჟურნალის 25-ე ნომერი, რომელშიც XVII სიმპოზიუმის („ქუთაისური საუბრები“) მასალები ქვეყნდება, ტარიელ ფუტკარაძეს ეძღვნება. ჟურნალი დარეგისტრირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში – ERIHPLUS (<https://dbh.nsd.uib.no/publiseringskanaler/erihplus/periodical/info?id=502345>). მისი ყველა ნომერი განთავსებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (<https://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology/>).

როგორც სიმპოზიუმში „ქუთაისური საუბრები“, ისე ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“ მნიშვნელოვანი პლატფორმა იყო და არის მეცნიერებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ მეცნიერებაში.

ტარიელ ფუტკარაძის სახელს უკავშირდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში **სტუდენტთა დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციების** ორგანიზება. მისი თაოსნობით 1996 წლიდან პრაქტიკა-ექსპედიციები ხორციელდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, სამეგრელო, ხევსურეთი, ლეჩხუმი, იმერეთი), 2006 წლიდან კი – ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში. ექსპედიციებში ძირითადად მონაწილეობდნენ აწსუ-ს ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, აგრეთვე, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მაგისტრანტები და დოქტორანტები. ექსპედიციების ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, მოენახულებინათ ჩვენი ქვეყნის ისტორიული კუთხეები, დაეთვალიერებინათ ქართული სიწმინდეები, საკუთარი თვალით ეხილათ იქ მცხოვრებ თანამემამულეთა ყოფა-ცხოვრება, მოესმინათ ჩვენებურების მეტყველება... ტ. ფუტკარაძე ახალგაზრდებს სამშობლოს სიყვარულს უღვივებდა და ცდილობდა, სხვანაირად დაენახათ და აღექვათ ტაო-კლარჯეთი. მისი დამსახურებით ექსპედიციაში გატარებული დღეები სამუდამოდ აღიბეჭდა თითოეული სტუდენტის ცნობიერებაში. ექსპედიციებში ჩართული იყვნენ აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორები, რაც ექსპედიციის მასშტაბს ზრდიდა.

აღნიშნული ექსპედიციები მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიულ მხარეებში დღემდე შემონახული და დაკარგვის საფრთხის წინაშე მყოფი დიალექტებისა და ეთნოგრაფიული ყოფის გადარჩენის თვალსაზრისით. ასევე, ის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა თურქეთის

ქართველებთან ურთიერთობის გაფართოება-გაღრმავების კუთხით. ტაო-კლარჯეთის სოფლებში მეცნიერს, როგორც ახლობელს, დიდი სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ. მან უამრავ ჩვენებურს განუმტკიცა ქართველობის შეგრძნება, არაერთ იმერხეველ თუ ტაოელ ახალგაზრდას მისცა შესაძლებლობა, რომ საქართველოში თავის დედაენაზე – ქართულ ენაზე – შესაბამისი განათლება მიეღო. ის იყო ფერეიდნელი ქართველების იმედი და გვერდში მდგომი.

დიალექტოლოგიურ პრაქტიკა-ექსპედიციებზე ჩაწერილი მასალები ინახება ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. სტუდენტთა საზაფხულო პრაქტიკა-ექსპედიციის შედეგები რეგულარულად განიხილებოდა **სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე**, რომელიც ქართველოლოგიის ცენტრისა და ქართული ენის მიმართულების ორგანიზებით ტრადიციულად ტარდება. ეს ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო მუშაობაში.

ტარიელ ფუტკარაძის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტს – **ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების მაგისტრანტთა და დოქტორანტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციას**, რომელიც 2007 წლიდან რეგულარულად ტარდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბოლო, რიგით XIII, კონფერენცია 2020 წლის ნოემბერში იყო დაგეგმილი, თუმცა საშინელ ვირუსთან – კოვიდ 19-თან მეზობლმა მეცნიერმა მისი ჩატარება ვერ მოასწრო. აღნიშნული კონფერენცია 2021 წლის 20 თებერვალს ჩატარდა და მის ნათელ ხსოვნას მიემდგნა.

2001 წელს ტ. ფუტკარაძემ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე საფუძველი ჩაუყარა **სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრს „ქართველური ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე“**. ორგანიზაცია ატარებდა პოპულარული ლექციების ციკლს, რომლის მიზანი იყო საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მოღვაწე საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებლებისა და დოქტორანტებისთვის უახლესი ისტორიული, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული კვლევების გაცნობა.

აღსანიშნავია ტარიელ ფუტკარაძის **პედაგოგიური მოღვაწეობა** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი 1992 წლიდან პარალელურად მუშაობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, **ქართული ენის კათედრაზე** (შემდგომში ქართული ენის დეპარტამენტი, ამჟამად ქართული ენის მიმართულება) ჯერ მოწვეულ ლექტორად, 2006 წლიდან კი კონკურსის წესით არჩეულ იქნა პროფესორად. ის იყო ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ავტორი და ხელმძღვანელი; სხვადასხვა საფეხურზე უძღვებოდა სასწავლო კურსებს ფონეტიკაში, გრამატიკაში, დიალექტოლოგიაში, ქართველოლოგიაში... იყო სტუდენტების საყვარელი, რჩეული ლექტორი, მათი მეგობარი და მრჩეველი.

ტარიელ ფუტკარაძემ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში, 1998 წელს, დაიცვა **სადოქტორო დისერტაცია** არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 2001 წლიდან კი მისი ხელმძღვანელობით სადოქტორო ნაშრომი დაიცვა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაერთმა ახალგაზრდამ (ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ავალიანი, გ. ქამუშაძე, ს. ტყეშელაშვილი, მ. ლაბაძე, ხ. ბაბუნაშვილი, მ. თედორაძე, ქ. გურჩიანი).

ტარიელ ფუტკარაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისში იყო სხვადასხვა **სამეცნიერო-კულტურული და საზოგადოებრივი აქტივობის სულისჩამდგმელი**; მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებაში, ატარებდა საჯარო ლექციებს, შეხვედრებს, სემინარებს ქართველოლოგიისა თუ ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ თემებზე. მისი ლექციები და საჯარო გამოსვლები გამოირჩეოდა ორიგინალური ხედვით, ახლებური მიდგომით, ამასთან, გულწრფელი ადამიანური ემოციებით...

მისი ინიციატივით 1996 წელს ქუთაისში დაარსდა **ქართული ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო**. მანვე საფუძველი ჩაუყარა სამმართველოსთან არსებულ **სამეცნიერო-პოპულარულ გაზეთს**, რომლის სახელწოდება იყო „**ქართული!**“ (1998-2004). გაზეთში შუქდებოდა ქალაქისთვის, ზოგადად, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული თუ სხვა სახის პრობლემები.

ტარიელ ფუტკარაძემ ქუთაისში დააფუძნა, აგრეთვე, **საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ქუჯი“**, რომლის რედაქტორიც თავად იყო (1999-2001).

მეცნიერი აქტიურად თანამშრომლობდა **ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან**, სადაც 2009 წელს მისი ინიციატივით და ბიბლიოთეკის დირექტორის მერაბ გვაზავას ძალისხმევით საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც დღემდე რეგულარულად ტარდება; ის იყო ბიბლიოთეკის სამეცნიერო ჟურნალ „წელიწდეულის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი.

გამორჩეული იყო ტარიელ ფუტკარაძის ურთიერთობა **ტელეკომპანია „რიონთან“**. ის ხშირად მონაწილეობდა „რიონის“ სატელევიზიო პროექტებში, გადაცემებში, ამუშებდა საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებს; მის მახვილ თვალსა და ყურს არ გამორჩებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა.

მეცნიერი საინტერესო შეხვედრებს აწყობდა ქუთაისის საჯარო სკოლებში, ატარებდა საჯარო ლექციებს, ერთობლივ კონფერენციებს, წიგნების პრეზენტაციას...

პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ თავისი მოღვაწეობის არცთუ დიდი ხნის მანძილზე შექმნა და მომავალ თაობას დაუტოვა მდიდარი **სამეცნიერო მემკვიდრეობა**; მას გამოქვეყნებული აქვს 330-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები) და 300-მდე პუბლიცისტური წერილი. მისი მოღვაწეობა უაღრესად ნაყოფიერი იყო. ის ღირსეულად და უანგაროდ ემსახურა თავის საქმეს და ქვეყანას.

ტარიელ ფუტკარაძე ნაადრევად, შემოქმედებითი აქტივობის ზენიტში მყოფი წავიდა ამქვეყნიდან; წავიდა და თან წაიღო ფიქრი, დარდი სამომავლოდ განსახორციელებელ „სასაქართველოო“ საქმეებზე...

ტარიელ ფუტკარაძის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართველოლოგიისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში!..

**CAREER OF PROFESSOR
TARIEL PUTKARADZE
IN KUTAISI**

Eka Dadiani

Akaki Tsereteli State University
Kutaisi. Georgia

Avtandil NikoleiSvili

Akaki Tsereteli State University
Kutaisi. Georgia

Keywords: Kartvelology, Tariel Putkaradze, Kutaisi.

Tariel Putkaradze was an accomplished scholar with remarkable intellectual distinction, and a versatile public figure with a well-defined national vision, and rare personal qualities. He pursued his career at different universities and in different cities in Georgia (Tbilisi, Kutaisi, Akhaltsikhe, Gori, Batumi, and other cities); he worked in close cooperation with Kartvelological Centers in Turkey.

Kutaisi occupied a special place in T. Putkaradze's biography. His dedication to Akaki Tsereteli State University and the scientific-educational, cultural, and social life of Kutaisi is outstanding.

In 1992, T. Putkaradze was appointed as the new head of the then newly-established Institute of Dialectology, founded by Professor Magali Todua at Akaki Tsereteli State University. He facilitated the launch and implementation of extremely important, valuable, and state-oriented projects at Akaki Tsereteli State University as well as in Kutaisi.

T. Putkaradze led the Institute of Kartvelian Dialectology to become one of the distinct and successful scientific-research centers in the country. Recording, documenting and ensuring the scholarly examination of the Kartvelian dialect materials, and the study of dialects as well as ethnographic and cultural features were among the functions of the Institute.

In 2017, the Scientific-Research Center of Kartvelology was established at the premises of the Institute of Dialectology where, until the end of his life, T. Putkaradze supervised the fields of Kartvelian dialectology, ethnography, and folklore. By the decision of the Academic Council of Akaki Tsereteli State University, the Center was named after Tariel Putkaradze in 2021.

Tariel Putkaradze was the initiator of several academic undertakings at the University. The Symposium *Kutaisi Discussions* – the academic forum for the linguistic, ethnological, and culturological study of Kartvelology – is one of his remarkable projects. The first one of the *Kutaisi Discussions* took place on May 13-14, 1994, while the 17th Conference, dedicated to its founder, Tariel Putkaradze was held on May 14-15, 2021. International academic forums organized by the Institute of Dialectology were of utmost importance for both Kartvelology and Kutaisi.

Under the initiative of T. Putkaradze, the Institute of Kartvelian Dialectology established the *Kartvelian Heritage*, the academic journal that publishes the materials presented at *Kutaisi Discussions*, the peer-reviewed Kartvelological papers, and dialect texts, newly-recorded by the Institute of Dialectology (currently, the Center of Kartvelology). The very first issue of the journal with Taniel Putkaradze as its editor-in-chief was published in 1997, while its 25th issue was dedicated to him.

The organization of dialectological fieldwork and expeditions for students of Akaki Tsereteli State University is linked with the name of T. Putkaradze. On his initiative, since 1996, fieldwork and expeditions have been carried out in different regions of Georgia (such as Adjara, Samtskhe-Javakheti, Svaneti, Samegrelo, Khevsureti, Lechkhumi, and Imereti), while starting from 2006, they have also covered the historical territory of Georgia, namely, Tao-Klarjeti. The above-mentioned expeditions are important for the survival of endangered dialects and the ethnographic situation that have been preserved up to the present day in the historical regions of Georgia. Besides, they offer the best way of expanding and enriching the relations with the Georgians living in Turkey.

The outcomes of student fieldwork and expeditions have undergone regular discussions during Student Academic Conferences, traditionally organized by the Center of Kartvelology.

T. Putkaradze laid the basis for launching an important scholarly project, the nationwide academic conference for MA and Ph.D. students in the field of Kartvelian linguistics, regularly held since 2007.

In 2001, T. Putkaradze established the Scientific-Educational Center *Georgian Language and Literature Beyond Borders* as part of the Institute of Kartvelian Dialectology.

T. Putkaradze's career in higher education at Akaki Tsereteli State University is remarkable. He was employed first as an invited lecturer (starting from 1992) and later, as Professor (since 2006) by the Department of Georgian Language at the Faculty of Humanities. T. Putkaradze developed and supervised MA and Ph.D. programs in Kartvelian linguistics. He taught phonetics, grammar, dialectology, Kartvelology, and other courses at different levels of higher education. He was loved and respected among his students for his friendship and advice.

In 1998, while working at Akaki Tsereteli State University, T. Putkaradze defended his Doctoral dissertation at the Arnold Chikobava Institute of Linguistics. From 2001 onward, he supervised many of the young researchers who defended their Ph.D. theses at Akaki Tsereteli State University, among them E. Dadiani, M. Mikautadze, L. Khachapuridze, L. Avaliani, G. Kamushadze, S. Tkeshelashvili, M. Labadze, Kh. Babunashvili, M. Tedoradze, K. Gurchiani).

T. Putkaradze was the real mastermind behind various academic, cultural, and public activities at Akaki Tsereteli State University and those carried out in Kutaisi. He participated in different events, delivered public lectures, organized gatherings, and seminars on urgent topics of Kartvelology or the social and political life of our country.

Under his initiative, the Kutaisi branch of the State Chamber of the Georgian Language was established in Kutaisi in 1996. T. Putkaradze laid the foundation for the popular science newspaper entitled *Georgian!* (1998-2004). In Kutaisi, he established the sociopolitical newspaper *Kuji*, further serving as its editor-in-chief (1999-2001).

The scholar actively collaborated with Kutaisi Ilia Chavchavadze Public Library where as a result of efforts by Merab Gvazava, the Director of the Library and on the initiative of T. Putkaradze, the International scientific conference was established in 2009. He was the founder and editor-in-chief of the academic journal *Tselitsdeuli* issued by the Library.

T. Putkaradze's cooperation with the Broadcasting Company RioniTV was extraordinary. He frequently participated in the RioniTV projects and television shows, covering urgent societal issues.

He held interesting gatherings at Kutaisi public schools, delivered public lectures, and organized joint conferences, book presentations, and so on.

Professor Tariel Putkaradze left his extensive academic work as his legacy for future generations. He had published over 330 scholarly works and up to 300 journalistic essays contributing to his successful career. He lived an honorable life, devoting it to the service of his country as well as his profession.

The name of Tariel Putkaradze will forever be remembered in the history of Kartvelology as well as that of our country.